06/07/2025

MES 5 25 0000825530

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღი:
დავით მალაზონია - სკოლის დირექტორი
შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია:
გიორგი კეთილაძე - სკოლის დირექტორი;
თინათინ ჯანაშვილი - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;
სალომე დანელია - მოსწავლეთა მიღების დირექტორი;
მარიამ ყაველაშვილი - სკოლის იურისტი
სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლა:
ეთერი ქვრივიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლა:
ლელა სუხიტაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯაროსკოლა:
დავით რაზმიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა:
სოფიო ბლიაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა:
ირმა ქობალია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლა:
ზაზა ლომოური - სკოლის დირექტორი
სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა:
ქეთევან ღლონტი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი
სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:
გიორგი დავითაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა:
მზიური შავაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლა:
სოფიო ჭაჭია - სკოლის დირექტორი
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლა:
ლელა კემულარია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლა:
ლელა ქინქლაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლა:
ნინო ასანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა:
მიმოზა მაისურაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღი:

ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა ვარდმანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სხვა დამსწრე პირები:
ნათია ჯანაშია - განმცხადებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 23 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ
აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
12. სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
13. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
14. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
15. სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
16. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, დღის წესრიგით მე-9 საკითხად გათვალისწინებული იყო **სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა,** თუმცა, სკოლის დირექტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საბჭოს სხდომას ვერ ესწრებოდა სკოლის უფლებამოსილი პირი, ასევე, დღის წესრიგი მე-14 საკითხად განსაზღვრული იყო **სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების**

ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა, თუმცა, სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და ვერ შეძლო საბჭოს სხდომაზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება, შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს აღნიშნული საკითხების გადასებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ-თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
12. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
13. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
14. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, ვინაიდან, იყო შპს თანამედროვე განათლების აკადამია-სკოლა და ბაღის დირექტორი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 580. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 580 მოსწავლისთვის.

ცირა ნიკოლაშვილის თქმით, ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მან აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებდა სკოლის საათობრივი ბადე, რომლის მიხედვითაც საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სავალდებულო და ფაკულტატურ საგნებს. მოსწავლეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ ფუნდამენტური განათლება და ამავდროულად, აერჩიათ საგნები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. ასევე, სავალდებულო საგნების მიმართულებით, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით დამატებული იყო SAT, TOEFL და აკადემიური წერის ინგლისურენოვანი კურსები. ექსპერტის თქმით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებითა და კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. საკლასო ოთახებსა და სკოლის დერეფნებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული და მიმდინარე სასწავლო პროექტები. გარდა ამისა, სკოლის მოსწავლეებს მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული არაერთ საერთაშორისო კონკურსში, მათ შორის “Blue Ocean Competition 2024”, “Technovation Girls” და „ბრილიანტის გამოწვევა 2024“.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და უსაფრთხო გარემო, აღჭურვილი იყო ყველა

საჭირო რესურსით, ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ცალ-ცალკე ფიზიკისთვის, ქიმიისთვის და ბიოლოგიისათვის, ასევე, სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი და სხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც იყო ორიგინალური, განსხვავებული და შედეგზე ორიენტირებული. მისი თქმით, სკოლის შეფასების სისტემა იყო სამაგალითო.
აქვე, ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ კურიკულუმების ფორმა იყო განსხვავებული და შეფასების სისტემა იძლეოდა მოსწავლეთა მრავალმხრივი ჩართულობის შესაძლებლობას.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება ნამდვილად ორიენტირებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებზე.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აქვე აღნიშნა, რომ სკოლის მიმღებლობა, ღიაობა და სიახლეებისადმი სწრაფვა იყო სკოლის დევიზი.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, დასძინა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა სხვა სკოლებთან და უზიარებდა მათ გამოცდილებას.
საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა ტუტორი მასწავლებლების შერჩევა.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა ტუტორი მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უპირატესობა ენიჭებოდა ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის კურსდამთავრებულებს. მისი თქმით, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა მათი მაღალი კვალიფიკაცია.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, მადონა ბობოხიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის გამორჩეულ მხარეს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიება.
სკოლის დირექტორმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტი წარიმართა კეთილგანწყობილ და სამუშაო გარემოში და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული კვალიფიციური რჩევები სკოლისთვის იყო სასარგებლო. აქვე, სკოლის დირექტორმა ბაღის შესასვლელი კარისა და ფოიეს გამიჯვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შემუშავებული ჰქონდათ პროექტი და უახლოეს მომავალში აპირებდნენ ბაღისთვის ცალკე შესასვლელის მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 580 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღს (ს/კ: 204861596) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 580 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა N4

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით.**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2027 წლის ივნისში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, უზრუნველყოს სკოლისა და ბაღის სივრცის გამიჯვნა იმგვარად, რომ როგორც ბაღს, ისე სკოლას ჰქონდეს საკუთარი, იზოლირებული შესასვლელი კარი და ფოიე; ასევე, 2025-2026 სასწავლო წლისთვის, მოაწყოს პანდუსი კიბის უჯრედებზე და შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები 2025 წლის სექტემბერში წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 აპრილს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით ვიზიტის დროს დაწესებულებაში ირიცხებოდა 9 მოსწავლე.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა 2025 წლის 25 მარტს ცენტრში შესული განცხადება შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. მისი თქმით, ცენტრში მსგავსი განცხადება ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან 2025 წლის 26 მარტს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისგან 2025 წლის 08 აპრილს.

ექსპერტის თქმით, შპს ბრიტანულ ქართული აკადემია იყო ავტორიზებული, ხოლო იმავე ტერიტორიაზე მდებარეობდა შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა, რომლის დამფუძნებელია BTA და საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამის საფუძველზე.

ექსპერტმა ისაუბრა საჩივრის შინაარსზე და აღნიშნა, რომ პარტნიორებს წარმოადგენდა შპს „საქართველოს განათლების ჯგუფი“ და ფიზიკური პირი. 2025 წლის 21 თებერვლიდან კი განხორციელდა დირექტორის ცვლილება მაჟორიტარი პარტნიორის მიერ. განცხადებაში მითითებული იყო, რომ აკადემიის წილის 30%-ის მესაკუთრე პარტნიორს თავისსავე დაფუძნებულ და აშენებულ სკოლაში შესვლა ეკრძალებოდა, შესაბამისად მოკლებული იყო შესაძლებლობას, რეალური გავლენა მოეხდინა სკოლაში მიმდინარე პროცესებზე და დაეცვა მოსწავლეების, პერსონალისა და მშობლების ინტერესები.

ასევე, განმცხადებელი საჩივარში მიუთითებდა, რომ ახალი დირექტორის დანიშვნით საფრთხის ქვეშ დადგა აკადემიის მოსწავლეების საუკეთესო ინტერესები და ფსიქოლოგიური განვითარება სკოლის ახალი დირექტორისათვის შეუფერებელი, საეჭვო ბიოგრაფიისა და ბრიტანეთის საერთაშორისო სკოლების საბჭოს სტანდარტებთან მისი დანიშვნის პროცედურების შეუსაბამობის გამო. განმცხადებლის ხელთ არსებული მტკიცებულებების თანახმად, დირექტორად რეგისტრირებული პირი იყო პორნოგრაფიული ნაწარმოებების ავტორი, რაც ეხებოდა ერთსქესიანთა ურთიერთობებს. ავტორი ნაწარმოებებს აქვეყნებდა ინტერნეტსივრცეში, რაც ქმნიდა დიდ რისკს იმისა, რომ არასრულწლოვანს ექნებოდა შეხება აღნიშნულ ნაწარმოებთან. განცხადებაში მითითებული იყო საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ირღვეოდა განცხადებაში აღნიშნული ფაქტებით. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^1 მუხლი და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

აღნიშნული გარემოებების შესწავლის შედეგად ექსპერტებმა გამოიკვლიეს, რომ 2025 წლის 21 თებერვალს განხორციელდა ცვლილება, რომლითაც ჩანაცვლდა, როგორც შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის, ასევე, შპს თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლის დირექტორი. 2025 წლის 24 თებერვალს კვლავ ჩანაცვლდა შპს თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლის დირექტორი, ხოლო 2025 წლის 08 აპრილს ჩანაცვლდა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის დირექტორი. ექსპერტის თქმით, განცხადებაში დირექტორად მოხსენებული პირი, რომელიც რეესტრში ფიქსირდებოდა 2025 წლის 21 თებერვლის ამონაწერით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროისთვის აღარ წარმოადგენდა სკოლასთან დაკავშირებულ პირს. ასევე

ექსპერტს თქმით, გაესაუბრნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს და მასწავლებლებს, რომელთაც არ ჰქონდათ ინფორმაცია 21 თებერვლიდან 08 აპრილამდე დირექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით.
გარდა ამისა, საჩივარში საუბარი იყო ახალი მენეჯმენტის მხრიდან არასრულწლოვნების მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტებზე, რომელიც აკადემიის შვილობილი სკოლის - „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ მოსწავლე იყო, 2025 წლის 17 მარტს აკადემიის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა არ მისცეს სკოლის ტერიტორიაზე თანმხლებ პირთან ერთად გადაადგილების საშუალება. ექსპერტის თქმით, მოცემულ შემთხვევაში სკოლის მოქმედმა მენეჯმენტმა, გაურკვეველი მიზეზით (როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა სავარაუდოდ შურისძიების მოტივით) უარი უთხრა ნდობით აღჭურვილ პირს სკოლაში შესვლაზე და საკლასო ოთახამდე ბავშვის მიცილებაზე. დაცვის თანამშრომლის მხრიდან უხეში საუბრის გამო მცირეწლოვანმა განიცადა ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, თავი იგრძნო გარიყულად და დაჩაგრულად, რადგან მისი თანატოლები ჩვეულებრივ შედიოდნენ სკოლაში კანონიერი წარმომადგენლების თანხლებით. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტეს, რომ აღნიშნული თანმხლები პიროვნება 2025 წლის 17 მარტამდე იყო სკოლაში დასაქმებული პირი და გადაადგილდებოდა საშვის მეშვეობით, ხოლო 17 მარტის შემდეგ გაუქმებული იყო მისი საშვი, რადგან აღარ იყო სკოლის თანამშრომელი. მათი თქმით, მოსწავლე საკლასო ოთახამდე მიიყვანა მასწავლებელმა.
ექსპერტის განმარტებით, განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ზემოთხსენებული ბავშვი 2025 წლის 04 მარტს მონაწილეობას იღებდა საპროტესტო შეკრებაში, სკოლის გარეთ, საპროტესტო აქციიდან რამდენიმე დღეში კი აღნიშნული მოსწავლე სკოლის მე-6 კლასის ხელმძღვანელმა დაიბარა კაბინეტში და მოსთხოვა ახსნა-განმარტება აქციაში მონაწილეობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციის დასრულების შემდგომ, განმცხადებლის შვილი შეფერხების გარეშე შედიოდა სკოლაში და ესწრებოდა გაკვეთილებს. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლას მათთვის არასდროს შეუზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლება.
გარდა ამისა, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 04 მარტის აქციის მონაწილე თანამშრომლებს უკანონოდ ათავისუფლებდნენ სკოლიდან ან/და უკრძალავდნენ სკოლის ტერიტორიაზე შესვლას. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს. მათ განაცხადეს, რომ თანამშრომლების უკანონოდ გათავისუფლებას ადგილი არ ჰქონია, სკოლიდან გათავისუფლდნენ მხოლოდ ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო ერთი პირი გათავისუფლდა უხეში გადაცდომის საფუძველზე, რაზეც წარმოდგენილ იქნა ბრძანება, შესაბამისი დასაბუთებით.
განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ახალი მენეჯმენტის მიერ დაქირავებული პირები ვერ აკმაყოფილებდნენ დაკავებული პოზიციისათვის საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. მაგალითად, დაცვის კომპანია შერჩეული იყო ისე, რომ არ გაუვლია COBIS-ის მიერ ამ კატეგორიის პოზიციისთვის დადგენილი სავალდებულო პროცედურები, მეტიც, განმცხადებელი აღნიშნავდა რომ თანამშრომლების განმარტებით, სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ახალი მენეჯმენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას და რეალურ საფრთხეს უქმნიდა არასრულწლოვანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ექსპერტებმა გამოითხოვეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობა, სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი წესი, „ბრიტანულ-ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო“, ვიზუალურად განხორციელდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სამუშაო სივრცისა და აღჭურვილობის დათვალიერება. შედეგად, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლების მიერ რაიმე სახის იარაღის ტარების ფაქტი არ დასტურდებოდა. აკადემიის ადმინისტრაციამ

ექსპერტებთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლაში განგაშის ღილაკის გამოცხადების შედეგად ნამდვილად დაფიქსირდნენ იარაღიანი პირები, რომლებიც იყვნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლები. ექსპერტის განმარტებით, „ბრიტანულ-ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელოში“ იყო ჩანაწერი „მოსწავლის პირადი მცველის სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და იარაღის ტარების დაშვების“ შესახებ, რომელშიც მითითებული იყო, რომ „დაცვის სამსახურის თანამშრომლის მოსწავლის თანმხლები პირის თაობაზე აკადემიის ადმინისტრაცია წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული, მცველის მიერ სამსახურეობრივი იარაღის ტარების შემთხვევაში, იარაღი არ უნდა ჩანდეს, არამედ დაფარული უნდა იყოს ტანისამოსით. მცველის სკოლაში გადაადგილება კოორდინირებული უნდა იყოს ბრიტანულ-ქართული აკადემიის დაცვის სამსახურთან.“

ექსპერტის, ია ქურიძის თქმით, თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებული პირების (სკოლის დირექტორის, აკადემიის დირექტორის მოადგილის, ოპერაციებისა და ბიზნესის განვითარების დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის) საკვალიფიკაციო მოთხოვნების შიდა რეგულაციის არარსებობის გამო, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ დადგინდა ამ პოზიციებზე დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. მას შემდეგ, რაც დაწესებულებამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განახლებული სტრუქტურული სქემის შესაბამისად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის შემდგომ მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესწავლა დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან ახალი დოკუმენტის მიხედვით. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ფარგლებში თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების საერთაშორისო თუ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სცილდებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანს. მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა დაცვის კომპანიის COBIS-ის მიერ ამ კატეგორიის პოზიციისთვის დადგენილი სავალდებულო პროცედურების შესაბამისად შერჩევის საკითხი. ია ქურიძის თქმით, საჩივარში აღნიშნული იყო, რომ უკანონოდ დანიშნული დირექტორი შორს იყო განათლების სფეროსგან. ის იყო სკოლის მაჟორიტარი პარტნიორის დირექტორი და სს „საქართველოს კაპიტალის“ ინვესტიციების ხელმძღვანელი. მისი არც აკადემიური ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება არ აკმაყოფილებდა სკოლის დირექტორისთვის საჭირო ელემენტარულ სტანდარტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ია ქურიძემ, განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციაში იყო სკოლის ადმინისტრაციასთან და კოორდინაციას უწევდა ექსპერტებისთვის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების პროცესს. ექსპერტები გაესაუბრნენ დირექტორს, რომელსაც ყველა დასმულ კითხვაზე ჰქონდა ადეკვატური პასუხი. შესაბამისად, ვიზიტის პროცესში დირექტორის კომპეტენტურობის საკითხი ეჭვქვეშ არ დამდგარა. განმცხადებელი საჩივარში ასევე აღნიშნავდა, რომ აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ეძებდა ახალ სამსახურს. მოსალოდნელი იყო მოსწავლეების გადინებაც, რომლებიც არ რეგისტრირდებოდნენ მომდევნო სასწავლო წლისათვის, სანამ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები არ გადაწყდებოდა. ექსპერტის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის მასწავლებლებს. მასწავლებლების განცხადებით, მათთვის ცნობილი იყო მენეჯმენტში არსებული გამოწვევების შესახებ, თუმცა, ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ ყოველდღიურ საქმიანობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად შექმნილი გარემოებისა, სკოლაში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. ამას გარდა, სკოლის ადმინისტრაციამ არ დაადასტურა მოსწავლეთა მომდევნო წლისათვის რეგისტრაციის შეფერხების საკითხი. აღსანიშნავი იყო, რომ 2024-2025 სასწავლო წელს შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში ფუნქციონირებდა მხოლოდ მე-12 კლასი, ხოლო სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლეები ჩვეულ რეჟიმში რეგისტრირდებოდნენ და იმედოვნებდნენ, რომ

2025-2026 სასწავლო წლიდან გაიხსნებოდა მე-10 კლასი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პარტნიორებს შორის წარმოშობილი უთანხმოების საკითხების შესწავლა სცილდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების საქმიანობის ფარგლებში შესასწავლ საკითხებს, თუმცა, ჩატარებული ინტერვიუებით, სასკოლო დოკუმენტაციისა და სასკოლო გარემოს გაცნობით, არ გამოკვეთილა გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა სასწავლო პროცესის განხორციელებას და უგულებელყოფდა მოსწავლეთა უფლებებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჩივარში მითითებულ პროცესებზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა და ექსპერტების შესწავლის ფარგლებს წარმოადგენდა მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტების შეფასება.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კომპონენტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ კომპონენტები: 1.1; 1.2; 3.1; 3.3; 3.6 და 4.1 შეფასებული იყო ,,სრულად შესაბამისად“.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
განმცხადებელმა, ნათია ჯანაშიამ, აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენდა აღნიშნული სკოლის დამფუძნებელსა და დირექტორს 2025 წლის 21 თებერვლამდე. მისი თქმით სს“საქართველოს კაპიტალის“ იურისტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ იოჰან ვან ლილი იყო პორნოგრაფიული ნაწარმოებების ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პიროვნება დანიშნული იყო დირექტორად, იგი არ გამოცხადდა სკოლაში და სწორედ ეს გახდა მისი დირექტორობიდან გადაყენების საფუძველი. მისი თქმით, სკოლის ამჟამინდელ წარმომადგენლებს არ ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ ეხელმძღვანელათ დაწესებულებისათვის, გაეკონტროლებინათ სწავლების ხარისხი და არ ჰქონდათ ცოდნა იმ პროგრამების შესახებ, რომელიც ისწავლებოდა სკოლაში. განმცხადებლის თქმით, „ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში“ სწავლობდა მისი ოთხი შვილი, მათგან ერთ-ერთის თანმხლებ პირთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2025 წლის 17 მარტს აღნიშნული პიროვნება დასაქმებული იყო სკოლაში და განმარტების გარეშე, უბრალოდ არ მისცეს სკოლაში შესვლის უფლება, თავად ამ პიროვნებამ კი 2025 წლის 19 მარტს დაწერა განცხადება სამსახურის დატოვების თაობაზე და ჰქონდა კითხვა სკოლის წარმომადგენლებთან, თუ რატომ არ დაუმზადეს აღნიშნულ პიროვნებას მშობლის მინდობილი პირის ბარათი. მისი თქმით, როდესაც თავად უახლოვდებოდა დაწესებულებას, მის წინააღმდეგ გადმოდიოდნენ დაცვის თანამშრომლები და არ უშვებდნენ სკოლაში. განმცხადებლის თქმით, მის შვილებს სკოლაში შექმნილი ვითარების გამო დასჭირდათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია და აღარ სურდათ დაწესებულებაში სიარული. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს პოლიციის სამსახურის თანამშრომელმა შეატყობინა, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან, რაც მისი მხრიდან იყო უფლებამოსილების გადამეტება და აღნიშნულთან დაკავშირებით იწყებოდა გამოძიება, ასევე, განმცხადებლის მეუღლე წარმოადგენდა სკოლის თანამშრომელს, თუმცა, არც მას უშვებდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე.
სკოლის წარმომადგენელმა, სალომე დანელიამ, აღნიშნა, რომ განმცხადებელი, ქალბატონი ნათია ჯანაშია საუბრობდა არა შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაზე, არამედ, შპს თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაზე.
განმცხადებელმა, ნათია ჯანაშიამ, აღნიშნა, რომ იგი საუბრობდა შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაზე და მეორე მხარისგან ელოდა ამ არგუმენტს. მისი თქმით, ახალი მენეჯმენტის მიმართ წინააღმდეგობა ჰქონდათ როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებს, რომლებიც მისი ინფორმაციით, ითხოვდნენ გადახდილი საფასურის უკან დაბრუნებას. აქვე, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენი მასწავლებელი გაათავისუფლეს სკოლიდან და რა იყო ამის მიზეზი.
სკოლის წარმომადგენელმა, თინათინ ჯანაშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა გათავისუფლება მოხდა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

სკოლის დირექტორმა, გიორგი კეთილაძემ, აღნიშნა, რომ არ სურდა სასკოლო საზოგადოების იმ სამართლებრივ დავაში ჩართვა, რომელიც მიმდინარეობდა მასთან და მომჩივან მხარესთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, თუ რა ვითარება იყო სკოლაში იარაღიანი ადამიანების გადაადგილებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, გიორგი კეთილაძემ, აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც შეიცვალა სკოლის ხელმძღვანელი, სურდათ გარემო ფაქტორებისგან თავი აერიდებინათ და მოსწავლეებისათვის შეექმნათ უსაფრთხო გარემო, რის გამოც, აიყვანეს დამატებითი დაცვის სამსახური, რომელსაც გავლილი ჰქონდა ყველა საჭირო გადამზადება და ის ფაქტი, რომ სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ იარაღიანი თანამშრომლები შექმნილი იყო საპროტესტო აქციაზე მყოფი პიროვნებებისგან (მისი თქმით, საპროტესტო აქციაზე გამოძახებული იყო დაცვის პოლიციის სამსახური, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს გადაადგილდებიან იარაღით) და სკოლის ტერიტორიაზე მომუშავე არც ერთ თანამშრომელს არ ჰქონდა არც ცეცხლსასროლი და არც ცივი იარაღი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, დააზუსტა, რომ იგი გულისხმობდა არა კონკრეტულ ფაქტს, არამედ ჩანაწერს შინაგანაწესში და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდნენ და რატომ იყო შინაგანაწესში მსგავსი ჩანაწერის გაკეთების საჭიროება.
სკოლის იურისტმა, მარიამ ყაველაშვილმა, განმარტა, რომ ჩანაწერი იყო ქცევის კოდექსში და არ ეხებოდა კონკრეტულად დაცვის წევრს თუ თანამშრომელს. მისი თქმით, სკოლას დამატებითი უსაფრთხოების მიზნით შემუშავებული ჰქონდა წესი, რომლის თანახმადაც, მოსწავლეს საშუალება ჰქონდა სკოლის ტერიტორიაზე შემოსულიყო მცველთან ერთად (ოჯახის წევრი/მინდობილი პირი) და აღნიშნული ჩანაწერი ეხებოდა სწორედ მცველებს, რომლებიც, სკოლაში გადაადგილდებოდნენ დაწესებულების დაცვის თანამშრომლებთან ერთად.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მსგავსი ჩანაწერის არსებობა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მოსწავლეს შეიძლება შექმნოდა ისეთი საფრთხე, რომელიც საჭიროებდა იარაღიანი თანმხლები პირის არსებობას და დაინტერესდა, რა საფრთხე შეიძლება შეჰქმნოდა მოსწავლეს სკოლაში ისეთი, რომ განსამუხტად მის მცველს ჰქონოდა იარაღი.
სკოლის დირექტორმა, გიორგი კეთილაძემ, აღნიშნა, რომ შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ სკოლის მოსწავლეები დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან მცველებით, იყო მცდარი. მისი თქმით, სკოლაში სწავლობდნენ სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენლების შვილები, ხოლო საელჩოებს ჰქონდათ განსხვავებული შინაგანაწესი, თუ როგორ მიეყვანათ და წამოეყვანათ მოსწავლეები სკოლაში. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერის გაკეთების საჭიროება სწორედ ამ მიზნით დადგა დღის წესრიგში, თუმცა, პრაქტიკაში გამოყენების ფაქტი არ დასტურდებოდა.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აღნიშნა, რომ იარაღიანი პირების გადაადგილებასთან დაკავშირებით ჩანაწერმა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია და ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა აღნიშნული საკითხი. მან განმარტა, რომ თუკი მოსწავლეს პროტოკოლის გამო ჰქონდა აუცილებლობა დაცვის თანხლებით ევლო სკოლაში (რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა სამუშაო იარაღი), მას უნდა ჰქონოდა აღნიშნულის შესაძლებლობა. აქვე, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, მიმართა განმცხადებელს, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში მოქმედებდა ის პოლიტიკა, რაც მოქმედებდა მისი დირექტორობის დროსაც და მიმართა კითხვით, მისი დირექტორობის დროს დადგენილი იყო თუ არა დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აქვე, იარაღის ტარებასთან დაკავშირებული ჩანაწერი იყო თუ არა მისი დირექტორობის დროსაც. ექსპერტის თქმით, ვინაიდან ვიზიტის დროს არ იყო შემუშავებული დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვერ შეაფასებდნენ აღნიშნულს, თუმცა სკოლის მოქმედი დირექტორი თანამშრომლობდა ექსპერტებთან და ყველა კითხვაზე

საპასუხოდ გამოყოფილი ჰყავდა კომპეტენტური პირი. აქვე, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს მხოლოდ ავტორიზებული შპს ბრიტანულ-ქართული აკადემიის საკითხი
საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, საჩივარში ნახსენები გარემოებების გათვალისწინებით, თუ რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ, მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მხარდაჭერისთვის.
სკოლის წარმომადგენელმა, სალომე დანელიამ, აღნიშნა, რომ მომჩივანი მხარის შვილები არ იყვნენ შპს ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები, ისინი სწავლობდნენ შპს თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ მოსწავლეების მიმართ ხორციელდებოდა რაიმე სახის ფსიქოლოგიური ზეწოლა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. იარაღის ტარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერზე კი განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სენსიტიური კონტიგენტი, შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები მუდმივად კომუნიკაციაზე იყვნენ სკოლასთან და ამოწმებდნენ უსაფრთხოების სტანდარტებს.
განმცხადებელმა, ნათია ჯანაშიამ, აღნიშნა, რომ იარაღის ტარებასთან დაკავშირებული ჩანაწერი მისი დირექტორობის დროს არ არსებობდა.
სკოლის დირექტორმა, გიორგი კეთილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან არც ერთი მოსწავლის მიმართ არ ყოფილა დისკრიმინაციული მიდგომა. მისი განმარტებით, ჰქონდათ მიწერილობა განმცხადებელ მხარესთან, რომ დასწრებოდა სკოლის მიერ გამართულ ღონისძიებას. რაც შეეხებოდა განმცხადებლის, ნათია ჯანაშიას მეუღლეს, დირექტორის თქმით, მას დარღვეული ჰქონდა სკოლის შინაგანაწესი (არსებობდა შესაბამისი აუდიო-ვიდეო მტკიცებულებები) და ამ მიზნით არ დაიშვებოდა სკოლის ტერიტორიაზე. მისი თქმით, სკოლის მიერ გამართულ სპექტაკლზე, განმცხადებელი იქცეოდა აგრესიულად და ხელს უშლიდა პროცესების კონსტუქციულად წარმართვას.
განმცხადებლის, ნათია ჯანაშიას განმარტებით, მან ერთხელ სცადა სკოლაში მისვლა და დაცვის თანამშრომლებმა მას არ მისცეს შენობაში შესვლის უფლება, შესაბამისად, არ ჰქონდა სურვილი, კიდევ ერთხელ გამოეცადა მსგავსი ფაქტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:38
დასრულების დრო: 16:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის (სკ: 204497829) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით

2025 წლის სექტემბერში, 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე, ცენტრში წარმოედგინა „ბრიტანულ-ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო"-ში არსებული იარაღის ტარებასთან დაკავშირებული ჩანაწერის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ საჩივარში მოცემული ინფორმაცია არ დასტურდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლის შედეგად. მან აქვე, აღნიშნა, რომ საბჭო დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და მასში ასახულ გარემოებებს, რომლის თანახმად ყველა ინდიკატორი შესაბამისობაში იყო, სხვა საკითხები კი, რომლებიც სცდებოდა საბჭოს კომპეტენციას, ვერ განიხილებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

3. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს წევრმა, კაახაბერ ჩაკვეტაძემ, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის შესახებ საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან 2023 წელს იყო ექსპერტი აღნიშნულ დაწესებულებაში.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-11 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულება, ასევე,მიწერილობა უფლებამოსილ ორგანოსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ეკატერინე ქვრივიშვილის განმარტებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების მტკიცებულებები წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში, ასევე, მიიღეს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ არადამაკმაყოფილებელი დასკვნა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე დაინტერესდა, თუ რა ვადა ესაჭიროებოდა დაწესებულებას სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებისთვის.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დამოკიდებული იყო დიდ ფინანსურ რესურსზე და ელოდებოდნენ დაფინანსებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-11 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:07
დასრულების დრო: 16:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-11 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

4. სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, ლელა სუხიტაშვილის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება დაკავშირებული იყო ისეთ ფინანსურ ხარჯებთან, რომლის შესრულებაც სკოლას დამოუკიდებლად არ შეეძლო, ჰქონდა მიწერილობა და ელოდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს დაფინანსების მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:14
დასრულების დრო: 16:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

5. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სკოლაში ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, დავით რაზმიაშვილის განმარტებით, შესასრულებელი რეკომენდაციები დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან და თითოეულის გამოსწორების მიზნით მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. სკოლის წარმომადგენლის თქმით, მას ჰქონდა სრული მზაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მდგრადობის დასკვნა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:21
დასრულების დრო: 16:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა დასაქმებული პირების ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და ნასამართლობის შესახებ; ასევეშემუშავებული დოკუმენტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ სრულად პერსონალზე, შენობა - ნაგებობის მდგრადობისა დასახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები;

ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონიტორინგისთვის საჭირო ცალკე ოთახის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობები, შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონიტორინგისთვის საჭირო ცალკე ოთახის არსებობის და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, სოფიო ბლიაძის განმარტებით, საბჭოს მხრიდან განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია ჰქონდათ შესრულებული, თუმცა, შესასრულებელი რჩებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი, ვინაიდან დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან და დაწესებულება დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა უზრუნველყოფას. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:32
დასრულების დრო: 16:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

7. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და შენობაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ირმა ქობალიას განმარტებით, შეუსრულებელ რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა, თუმცა, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება დაკავშირებული იყო ფინანსურ რესურსებთან და დაფინანსების მიზნით ჰქონდათ მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან, ასევე, მიწერილობა ჰქონდათ პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და შენობაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:44

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციებისშესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

8. სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,პირველადი დახმარების პირობების დაკმაყოფილების და ინკლუზიური გარემოს მოწყობის მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ექთნის შტატის დამატების მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ გაცემული მიწერილობა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და კვალიფიციური ექიმის აყვანის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის , ზაზა ლომოურის განმარტებით, შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სკოლას მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, ვინაიდან, დაწესებულება საკუთარი რესურსით ვერ შეძლებდა აღნიშნულისშესრულებას. ასევე, გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია, მაგრამ, არ გამოცხადდა კანდიდატი და განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეათანხმეს ექთნის შტატი. ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები განლაგებული იყო ისე, რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ინკლუზიური გარემოს მოწყობა და ექიმის აყვანა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 08 დეკემბრის N1673143 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:51
დასრულების დრო: 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლას, რომ მუდმივად ჰქონოდათ გამოცხადებული ექიმის/ექთანის ვაკანსია და დასაქმების შემთხვევაში, წარმოედგინა დამადასტურებელი მტკიცებულება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები და 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მათ მზად ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაც, თუმცა, აღნიშნული არ ჰქონდა წარმოდგენილი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარის, ეკატერინე წიფურიას თქმით, აღნიშნული ხელმისაწვდომი არ იყო საბჭოს წევრებისთვის და ვერ შეძლეს მისი შესწავლა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, გიორგი დავითაშვილის განმარტებით სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებისთვის ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი, ხოლო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2025 წლის ივნისი.

10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულება, შენობის მდგრადობისადა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, მზიური შავაძის განმარტებით, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და შენობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებისთვის დაფინანსების შესახებ მიწერილობა ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდნენ შესაბამის

რეაგირებას. მისი თქმით, მოპოვებული ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა აღნიშნული არ ჰქონდათ წარმოდგენილი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
რეკომენდაციები, რომელებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:22
დასრულების დრო: 17:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი, ხოლო, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2025 წლის ივნისი.

11. სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის სრული ტერიტორიის შემოღობვის, ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შსს -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლის სრული ტერიტორიის შემოღობვის, ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, სოფიო ჭაჭიას განმარტებით, სკოლის სრული ტერიტორიის შემოღობვის, ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების მიზნით მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდებოდნენ შესაბამის ღონისძიებებს, ხოლო, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა წარმოდგენილი ჰქონდათ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (სკოლის სრული ტერიტორიის შემოღობვა, ასევე, სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:31
დასრულების დრო: 17:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

12. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მდგრადობის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლის მთავარი კორპუსის პირველი და მეორე სართულის ფოიე მოძრავია და საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ლელა კემულარიას განმარტებით, დაწესებულების შენობა იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იატაკი იყო მოძრავი, თუმცა მისი გამოყენება არ იყო საფრთხისშემცველი (დასკვნიდან გამომდინარე). მისი თქმით, დაწესებულება გათვალისწინებული იყო რეაბილიტაციის პროექტში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულება) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:41
დასრულების დრო: 17:46

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

13. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, სკოლის პერიმეტრის შემოღობვის, ლაბორატორიაში ონკანის, ნიჟარისა და გამწოვი კარადის დამონტაჟებისა და გარემოს ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ლელა ქინქლაძის განმარტებით, საბჭოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციები დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ რესურსებთან და მოწყობის მიზნით მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, შესაბამისად, ვერ ასახელებდა დროს, თუ როდის შეძლებდნენ რეკომენდაციების შესრულებას სრულად.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, სკოლის პერიმეტრის შემოღობვის, ლაბორატორიაში ონკანის, ნიჟარისა და გამწოვი კარადის დამონტაჟებისა და გარემოს ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:53
დასრულების დრო: 18:01

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

14. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, სკოლის ტერიტორიის უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან დაცვის დამადასტურებელი მტკიცებულება, სკოლის შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, სკოლის ინკლუზიური გარემოს მოწყობის მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მდგრადობის დასკვნა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და სკოლის ტერიტორიის უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან დაცვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, მიმოზა მაისურაძის განმარტებით, ელოდა სახანძრო უსაფრთხოების გეგმიურ შემოწმებას და ჰქონდა მიწერილობა შენობაში ლიფტის მოწყობის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომელებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურ რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და სკოლის ტერიტორიის უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან დაცვის დამადასტურებელი მტკიცებულებები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:19
დასრულების დრო: 18:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 18:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.
1757597

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე